



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 12 სექტემბერი, 2023

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 17 ნოემბერი, 2023

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

სალომე ვორონოვი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

წევრები:

დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელენე გიგინეიშვილი, შპს -საქართველოს უნივერსიტეტი

დავით კაკიაშვილი, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

2023 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	2500
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: <input type="text" value="2072"/>
	შეჩერებული: <input type="text" value="797"/>
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: <input type="text" value="1071"/>
	შეჩერებული: <input type="text" value="131"/>
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: <input type="text" value="175"/>
	მათ შორის აფილირებული: <input type="text" value="-"/>
	მოწვეული: <input type="text" value="308"/>
	სამეცნიერო: <input type="text"/>
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	6/24/2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	7/8/2021, #689589
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	6/24/2027
სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	3200

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. 11 სექტემბერი დაეთმო მთლიანად შეხვედრებს და გასაუბრებას დაწესებულების წარმომადგენლებთან. 12 სექტემბერს განხორციელდა დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერება, რომელიც განთავსებულია ორ მისამართზე, ასევე ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა ორ სამედიცინო დაწესებულებაში, რომლებთანაც თანამშრომლობს დაწესებულება და სადაც ხორციელდება კლინიკური უნარების განსავითარებელი კურსები.

ვიზიტის პერიოდში დაისვა კითხვები სტუდენტთა რაოდენობის განაწილებასთან დაკავშირებით 4 წლის განმავლობაში, რომლის მონაცემებიც დაწესებულებას ჰქონდა მოცემული თვითშეფასების ანგარიშში. დაწესებულების წარმომადგენელთა არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის შემდეგ, ჩვენ ვთხოვეთ მათ, წარმოედგინათ სტატისტიკური მონაცემები სტუდენტების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შედეგები, სადაც თვალნათლივ დავინახავდით როგორც ყველა მონაცემს, აგრეთვე სტუდენტთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის და სტატუსის ცვლილების (შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა, კვალიფიკაციის მინიჭება) დინამიკას.

კერძოდ, უნივერსიტეტისგან დამატებით იქნა გამოთხოვილი შემდეგი დოკუმენტაცია:

- სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის შედეგები ბოლო წლის;
- ახალი შენობის იჯარის დოკუმენტი;
- სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება;
- ინვენტარის ამსახველი დოკუმენტაცია;
- გაცვლით პროგრამებში პროფესორთა ან სტუდენტთა მონაწილეობის მასალა;
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შედეგები;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- სტატისტიკური მონაცემები - მთლიანი სტუდენტების რაოდენობა, აქტიური სტუდენტების რაოდენობა, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა (ბოლო სამი წლის), სრატუსადდგენილი სტუდენტების რაოდენობა (ბოლო სამი წლის), მობილობით გადასული და გადმოსული სტუდენტების რაოდენობა (ბოლო სამი წლის), მედიცინის აქტიური სტუდენტების რაოდენობა სემესტრების მიხედვით;

დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა ზემოაღნიშნული მასალა, რომლის შესწავლის შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დაწესებულებას სრულად აქვს გააზრებული ყველა რისკი და შესაძლებლობა სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის და საანგარიშო პერიოდში პროგრამების მიხედვით განაწილების შემთხვევაში.

დაწესებულებაში ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიალურ და თანამშრომლობით ვითარებაში.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

ამ მიმართულებით ინფორმაციული იყო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 2021 და 2022 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვა, რადგან მათ თვალნათლივ წარმოაჩინეს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, ასევე განხორციელებული პროცესებისა და ღონისძიებების პროგრესი ერთი წლის განმავლობაში.

რეკომენდაციების შეჯამება¹

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ შემუშავებულ სამიზნე ნიშნულებს პერსონალის მართვის ნაწილში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მატების მეთოდოლოგიის შემუშავებისას მედიცინის მიმართულებით და მოიყვანოს შესაბამისობაში.
- რეკომენდებულია მოხდეს ბიუჯეტის მიზნობრივი გაწერა ფაკულტეტების მიხედვით, რომელშიც აუცილებლად უნდა აისახოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის მხრიდან კლინიკური უნარების სასწავლო ფართში ელექტრონული მართვის და საგამოცდო პროცესის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება.

რჩევების შეჯამება

- სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმების ეფექტურად გამოყენების მიზნით;
- სასურველია რომ ომბუდსმენი არ იკავებდეს რაიმე თანამდებობას უნივერსიტეტში, არამედ არჩეულ იქნას სტუდენტთა ჩართულობით;
- სასურველია პერსონალთან მოხდეს მიზნობრივი შეხვედრები წახალისების მექანიზმის და მათი სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების ინფორმირებულობისათვის.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
- დამსაქმებლების ჩართულობა და უნივერსიტეტის მხრიდან დამსაქმებლებთან კომუნიკაცია

¹ საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა არსებული და არა მოთხოვნილი² ზღვრული რაოდენობის მისაღებად.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

- ექსპერტთა პანელმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე და ხუთი რეკომენდაციიდან 3 რჩება უცვლელად. რაც შეეხება რეკომენდაციას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმების ეფექტურად გამოყენებისთვის მუშაობის გააქტიურებაზე, ჩაითვალია მიზანშეწონილად რომ აღნიშნული გადავიდეს რჩევაში. სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით კი ბიზნესის პროგრამის კონტრაქტში სწავლების საფასურის უცვლელად შენარჩუნების შესახებ მიღებულ არგუმენტირებულ პოზიციას პანელი სრულად იზიარებს და იხსნება ეს რეკომენდაცია.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია

1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისია მოცემულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში. GAU-ს მისიაა - „მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პრაქტიკულ მოდელებზე ზაზიარებულ განათლების მიცემა, კვლევის წარმოება და ინოვაციური საქმიანობა. თანაბარი შესაძლებლობების მიცემის

² იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

საფუძველზე - ცოდნის, უნარებისა და საყოველთაო ღირებულებების განმტკიცებითა და სოციალური პასუხისმგებლობის აღიარებით, საზოგადოების განვითარებისა და ქვეყნის გლობალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ცოდნის შექმნისა, დაგროვებისა და გაზიარების გზით“.

უნივერსიტეტი, სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, მიზნად ისახავს კონცენტრირება მოახდინოს ქვემოთ მოცემულ ოთხ სტრატეგიულ პრიორიტეტზე:

პირველი პრიორიტეტი - ხარისხიანი და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობა - სტრატეგიული გეგმის სამოქმედო პერიოდში უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, რომ მის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად დარჩება გამოიყენოს არსებული, შეიმუშაოს და დანერგოს სწავლების ისეთი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის უნარების გამომუშავებას, რამაც სტუდენტს საშუალება უნდა მისცეს მიიღოს თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის ცოდნა, უნარები და შესაბამისი ღირებულებები, ადეკვატური პროფესიული გამბედაობა. ეს მიმართულება მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განვითარებას; საგანმანათლებლო პროგრამების არქიტექტონიკას და შინაარსს; სწავლის შედეგების მიღწევადობას, შეფასების გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას, და სხვა.

უნივერსიტეტის მოცემული პრიორიტეტის მიღწევის მტკიცებულებად აუცილებლად უნდა აღინიშნოს ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა/ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრამ და მათთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს და თავს ართმევს ხარისხიანი განათლების მიწოდების ვალდებულებას, ზრუნავს თეორიული ინფორმაციის და მის საფუძველზე მიღებული ცოდნის გაპრაქტიკულების უნარების გამომუშავებაზე. ორივე სეგმენტმა ნათლად აჩვენა კმაყოფილება უნივერსიტეტის საქმიანობის და მდგომარეობის შესახებ.

მეორე პრიორიტეტი - კვლევითი საქმიანობა - სტრატეგიული პერიოდისთვის უნივერსიტეტი პრიორიტეტებად სახავს კვლევითი გარემოს მხარდაჭერას და იმ თანამედროვე სტანდარტების დანერგვისათვის ხელშეწყობას, რომლებიც კვლევით საქმიანობას წაეყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების და კვლევების მეთოდოლოგიური მოთხოვნების თვალსაზრისით.

დაწესებულება აღნიშნავს, რომ ერთის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების და მეორეს მხრივ, ქვეყანაში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების და მხარდაჭერის არსებული არათანაბრობის რეალობიდან გამომდინარე, მიმდინარე სტრატეგიულ პერიოდში მიზნად ისახავს კვლევითი საქმიანობის მოდერნიზაციას, ადეკვატური და შედეგიანი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის მხარდაჭერისა და წარმოების გზით. ინსტიტუცია იღებს ვალდებულებას, შიდა და გარე რესურსის მობილიზების გზით, აწარმოოს ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, რომლითაც წვლილს შეიტანს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებაში. აგრეთვე მოახდენს ამ ტიპის საქმიანობის და მისი შედეგების ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში, რითაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მას როგორც ახალგაზრდობის, ისე სხვა სოციო-ეკონომიკური აგენტებისათვის.

უნივერსიტეტის მისწრაფება კვლევის პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით კარგად ჩანს ბიუჯეტით გათვალისწინებული კვლევის - სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების საერთო მოცულობიდან, ასევე მისასაღმებელია ინტერდისციპლინარული კვლევების აქცენტების გამოყოფა, უფრო კონკრეტულად, საყურადღებოდ და საინტერესოდ გამოიყურება კვლევებში სამეცნიერო კლასტერების ჩამოყალიბების პრაქტიკა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მეტი დარგთაშორისი კვლევებისათვის, სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის გაერთიანების და გაძლიერებისათვის, რაც ქმნის შედეგზე მეტად ორიენტირების შესაძლებლობას.

მესამე პრიორიტეტი - სტუდენტური ცხოვრებისა და კარიერული სერვისების ეფექტური განვითარება.

უნივერსიტეტის ზრუნვა მესამე სტანდარტის განვითარებასთან დაკავშირებით კარგად ჩანს როგორც დასაქმების მაჩვენებლიდან, ისე კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით და მათთან ინტერვიუებიდან.

მეოთხე პრიორიტეტი - ორგანიზაციული განვითარება. წინამდებარე პრიორიტეტის მიხედვით უნივერსიტეტი როგორც მისიაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავისი განვითარების სხვადასხვა ფაზაში დგება სხვადასხვა გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე, შესაბამისად მისი ორგანიზაციული განვითარება, რომელიც შემოღებს დროულ ადეკვატურ რეაგირებას ფაქტებსა და მოვლენებზე არსებითია ზოგადად უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის. უნივერსიტეტს ორგანიზაციული განვითარება გააზრებული აქვს იმ დინამიკაში, თუ რამდენად ეფექტურია არსებული მოდელი და რამდენად კარგად მოერგება იგი ცვლილებათა განვითარებას უნივერსიტეტში და მის გარეთ. უნივერსიტეტი თავის ორგანიზაციულ განვითარებაში ორიენტირებულია მართვის ეფექტურობისაკენ, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ნათლად გამოიხატება უნივერსიტეტის როგორც ერთიანი ორგანიზმის სინთეზში ქვემოდან ზემოთ და პირიქით, რაც ზრდის მისი მოქნილობისა და შემოქმედებითობის დინამიკას. ეს დინამიკა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ზოგადად უნივერსიტეტის მობილურობას და ადეკვატურობას ყველა იმ ამოცანის მიმართ რაც დასახულია უნივერსიტეტის წინაშე. ამასთან უნივერსიტეტი თავის ორგანიზაციულ განვითარებაში ფოკუსირებულია ორგანიზაციულ კულტურაზე და განვითარების შესაძლებლობებზე. ამისთვის იგი ეყრდნობა სტრუქტურული რეორგანიზაციის, ფინანსური წახალისების და სხვა მექანიზმებს. შესაბამისად უნივერსიტეტი ორიენტირებულია ინსტიტუციონალური სტაბილურობის და ინსტიტუციის მართვის პროცესის ეფექტურობის ხარისხის გაზრდაზე რაც აღწერილია 2.1 სტანდარტში. ორგანიზაციული განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან და შესაბამისი მექანიზმების განვითარებასთან, შესაბამისად უნივერსიტეტში იმ თვალსაზრისით არსებობს ინსტიტუციონალიზებული სტრუქტურა ადამიანური მართვის სამსახური, რომლის უფლებამოსილებანი განისაზღვრება როგორც უნივერსიტეტის დებულების, ისე სამსახურის სპეციალური დებულებით.

უნივერსიტეტი თავის ორგანიზაციულ განვითარებაში, მნიშვნელოვან წილს ანიჭებს ფინანსური და მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას; ამ თვალსაზრისითაც უნივერსიტეტს მკაცრად ფორმალიზებული მიდგომები გააჩნია. ფინანსების ნაწილში ფუნქციონირებს ფინანსური სამსახური, რომლის ინსტიტუციონალური სტატუსი და ადგილი განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით, ხოლო მისი უფლება მოვალეობანი დეტალურად განისაზღვრება სამსახურის შესაბამისი დებულებით.

უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა. უნივერსიტეტის სამწლიან სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, პროგრამები და სხვა თანმდევი აქტივობები, მოცემულია ინფორმაცია ფინანსებსა და პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით, ასევე მოყვანილია ამ აქტივობების განხორციელების ძირითადი ინდიკატორები, რაც აიოლებს გეგმის მონიტორინგის პროცესს.

ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტისგან გამოთხოვილი იყო გეგმის მონიტორინგის ერთი წლის შედეგები. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 და 2022 წლის მონიტორინგის შედეგები, რომელთა დეტალური ანალიზის შედეგად კარგად ჩანს უნივერსიტეტის განვითარების დინამიკა და შესაბამისად პერსპექტივების მკაფიო კონტურები.

უნივერსიტეტი მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებაში მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის პირობებში, კისრულობს ვალდებულებას განავითაროს თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან, კიდევ უფრო მეტად იზრუნოს საგანმანათლებლო საქმიანობისა და კვლევისთვის აუცილებელი რესურსის

<p>გამლიერებაზე, გააგრძელოს და გაამრავალფეროვნოს საქმიანობა გარე პარტნიორებთან განახორციელოს გაწეული საქმიანობის და პროგრესის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება, განსაზღვროს გაუმჯობესების სფეროები და განახორციელოს მიზნობრივი სტრატეგიები ხარვეზის აღმოსაფხვრელად.</p> <p>უნივერსიტეტის მხრიდან ამ ვალდებულების განხორციელების შესაძლებლობების შეფასებისთვის განხილული იქნა 2021 და 2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის შედეგები, გაანალიზდა განვითარების დინამიკა, რამაც ცხადყო, რომ 2021 წელს პანდემიის ვითარების გათვალისწინებით უნივერსიტეტმა კარგად გაართვა თავი განხორციელებინა როგორც სტუდენტთა ისე პროგრამის განმახორციელებელი კადრის უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა დოკუმენტაციის და ადგილზე გარემოებათა შესწავლის შედეგად, აღნიშნულის მტკიცებულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2022 წლის მაჩვენებლები, სადაც კარგად გამოჩნდა მაჩვენებლების ზრდა და განვითარების დინამიკა.</p> <p>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტს კარგად აქვს გაანალიზებული და შეფასებული გაზრდილი კონტიგენტის პერიოდებში მისიისა და სტრატეგიული გეგმის განხორციელების რისკებიც და შესაძლებლობებიც. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შინაარსი და ლოგიკა განვითარებულია ისე, რომ უნივერსიტეტის განვითარება და ზრდა ინსტიტუციისათვის ქმნიდეს შესაძლებლობას უპასუხოთ როგორც დროის და საბაზრო მოთხოვნებს ზოგადად, ისე უნივერსიტეტის გრძელვადიან მდგრადობას და განვითარებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის მისია; • უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა; • უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა; • სტრატეგიული გეგმის შესრულებისა და განვითარების მონიტორინგის მექანიზმები; • 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები; • 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები; • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • კვლევის შედეგების შეფასება - სამეცნიერო საბჭოს ოქმი; • ინტერვიუები (ადმინისტრაციასთან, სკოლის დეკანებთან, აკადემიურ პერსონალთან, საფინანსო სამსახურის წარმომადგენელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან და სხვა); • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
<p>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები</p>
<p>ექსპერტთა ჯგუფის რჩევები</p>

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა'

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: პარტნიორთა კრება, პრეზიდენტი, რომელსაც ექვემდებარება პირველი ვიცე-პრეზიდენტი, სკოლა, ვიცე პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.

პირველი ვიცე პრეზიდენტის დაქვემდებარებაშია ბიბლიოთეკა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, მარკეტინგის და კომუნიკაციის სამსახური, იურიდიული სამსახური, საქმის წარმოების სამსახური, საფინანსო სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, სამეურნეო სამსახური.

ვიცე-პრეზიდენტს სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში, ექვემდებარება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობის სამსახური, აკადემიური პროცესის მართვის სამსახური, საგამოცდო ცენტრი.

უსდ-ში ფუნქციონირებს შემდეგი სკოლები: სამართლის, სოც. მეცნიერების და დიპლომატიის სკოლა ჰუმანიტარული მეც და ლიბ. განათლების სკოლა, ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა, მედიცინის სკოლა.

მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახურს ევემდებარება სტუდენტური სერვისების მარკეტინგის განყოფილება, ახალგაზრდობის საგანამანათლებლო საქმიანობის განამხორციელებელ სუბიექტებთან ურთიერთობის განყოფილება, მედია-კომუნიკაციის განყოფილება.

თითოეულ ერთეულს გააჩნია დებულება სადაც მოცემულია სამსახურის მიზნები, ფუნქციები. სამსახურის სტრუქტურა, სამსახურის ხელმძღვანელის და მენეჯერის ფუნქციები. ამგვარად, უნივერსიტეტის თითოეული განყოფილებისათვის შემუშავებულია წესების ნაკრები, რომელიც განსაზღვრავს მათ ძირითად ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც აუცილებელია უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დგინდება, რომ უსდ გეგმავს სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდას 700 სტუდენტით. ამ მხრივ უსდ-ს გააჩნია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი. რომელშიც მოცემულია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები, როგორცაა მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული რესურსები.

სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია აუცილებელი ინდიკატორები: ადამიანური რესურსი (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი); მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული დამატებითი ინდიკატორები: ბაზრის კვლევის მონაცემები; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა; სტუდენტთა გადინების (მობილობის ჩათვლით) დინამიკა; სტატუსს შეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა. უსდ-ს სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ინდიკატორების შეფასება სამიზნე ნიშნულთან მიმართებით.

შპს ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანური რესურსის ნაწილს. დაწესებულების წარმომადგენლებს განსაზღვრული აქვს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები. სტუდენტთა საერთო მაქსიმალური კვოტის განსაზღვრაში განსაკუთრებული ინდიკატორია აკადემიური

პერსონალის რაოდენობა, რაც დამოკიდებულია ცალკეული პროგრამის სპეციფიკაზე. დოკუმენტში არის შემდეგი ჩანაწერი, „ერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სავალდებულოა მონაწილეობდეს დარგის მინიმუმ 4 აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი). იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე 100 სტუდენტზე მეტი იქნება ჩარიცხული დამატებითი 30 სტუდენტზე უნდა იანგარიშებოდეს ერთი აფილირებული აკადემიური პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/40-ს“. დაწესებულების მიერ ასევე შემუშავებულია აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში დამატებითი სამიზნე ნიშულების ინდიკატორები, რაც მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელს და აკადემიური პერსონალის დატვირთვას, რაც მოიაზრებს სალექციო კვირეულის ზღვრის დადგენას, მათ სხვა ძირითად მოვალეობებს.

სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით აფილირებული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს არსებული აკადემიური პერსონალის 50%-ზე ნაკლები. ასევე ჩანაწერში იკითხება რომ მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, რომელიც ახორციელებს პროგრამის სავალდებულო სასწავლო/კვლევით კომპონენტს, აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/1.

უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობა გამოითვლება ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ ან/და ჩარიცხულ პირთათვის. სტრატეგიულ განვითარების დეპარტამენტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მოდელი. უსდ-ს მიერ მოდელის შედეგები წარმოდგენილია Excel-ის ფორმით, სადაც ჩანს სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა. ფართობის მიხედვით მიღწევა შესაძლებელია არსებული სივრცისა და ინვენტარის (მერხი, სკამი, დაფა) პირობებში; უნივერსიტეტში არსებული სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა; აუდიტორიაში სწავლებისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალური საათების რაოდენობა (გამტარიანობა) კვირაში; ერთი ჯგუფის საკონტაქტო საათების / სწავლების მაქსიმალური საათების რაოდენობა კვირაში (დატვირთულობა); აუდიტორიაში/ჯგუფში სტუდენტების საშუალო, დასაშვები რაოდენობა;

მოდელი ასევე მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: სალექციო დროის ინტერვალში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერების რაოდენობას უნივერსიტეტში, რომელიც ინტერნეტზე არის მიერთებული.

სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის მოდელი შემუშავებულია მედიცინის სკოლისათვის. მოდელი ითვალისწინებს პარამეტრებს, რომელიც დამახასიათებელია მედიცინის დარგისათვის.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით აღნიშნული რაოდენობები არ მოდის შესაბამისობაში, კერძოდ მედიცინის მიმართულებით, სადაც ყველაზე მაღალი კვოტა არის წარმოდგენილი, წლიურად 273 სტუდენტი (2024-2025). ინტერვიუს დროს ხარისხის წამომადგენელმა მედიცინის მიმართულებით აღნიშნა რომ აღნიშნული რაოდენობა არ მიიღება წლიურად, მოხდება ამ რაოდენობრივი მაჩვენებლის გაყოფა ორად, სემესტრების მიხედვით. ვინაიდან სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის განსაზღვრის განსაკუთრებულ ინდიკატორს შეადგენს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც დამოკიდებულია ცალკეული პროგრამის სპეციფიკაზე, ასევე სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ზღვრული რაოდენობის ზრდის შემთხვევაში მოდის მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე, რეკომენდირებულია მეთოდოლოგიის დაგეგმვის დოკუმენტში, პერსონალის ნაწილში ცვლილებების შეტანა. ამ ეტაპისთვის აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია მედიცინის სკოლაში როგორც არსებული სტუდენტთა კონტიგენტის, ისე გაზრდილი

რაოდენობის პირობებში. უნდა აღინიშნოს ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობაც მედიცინის სკოლაში, რომელიც ბოლო მონაცემების მიხედვით გაზრდილია.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 42-ს, აკადემიური პერსონალი - 52, აქედან აფილირებული - 45, მოწვეული პერსონალი - 202. თვითშეფასების დოკუმენტში იკითხება რომ დაწესებულებაში სულ დასაქმებულია 175 აკადემიური პერსონალი, მოწვეული 308, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი 157.

უსდ- მიერ წარმოდგენილი გათვლების შედეგების ანალიზიდან ჩანს, რომ უსდ-ს არსებული რესურსული პოტენციალის გათვალისწინებით, შეუძლია მოემსახუროს 1950 სტუდენტს (მედიცინის სკოლის გარდა), ხოლო მედიცინის სკოლას შეუძლია მოემსახუროს 1250 სტუდენტს.

მოდელი ასევე ითვალისწინებს პროგნოზირებას. უსდ ვარაუდობს, რომ 2023-2024 წლებში სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება 2501-მდე, პროგრამების მიხედვით გადანაწილება იქნება შემდეგნაირად:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი) - 226
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) - 87
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა - 50
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა - 12
- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა - 177
- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა - 17
- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა - 5
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა - 124
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა - 30
- სამართლის სადოქტორო პროგრამა - 21
- ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა - 42
- ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა - 178
- ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო პროგრამა - 20
- მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა - 67
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 176
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 69
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა - 40
- მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში საბაკალავრო პროგრამა - 15
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 1145

2024-2025 წლებში -2769-მდე, პროგრამების მიხედვით გადანაწილება იქნება შემდეგნაირად:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი) - 271
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) - 99
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა - 46
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა - 10
- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა - 216
- საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა - 15
- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა - 5
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა - 151
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა - 27
- სამართლის სადოქტორო პროგრამა - 23
- ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა - 40
- ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა - 212
- ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო პროგრამა - 18
- მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა - 70

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 212
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 83
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა - 52
მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში საბაკალავრო პროგრამა - 32
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 1187

2025-2026 წლებში - 3023 -მდე, პროგრამების მიხედვით გადანაწილება იქნება შემდეგნაირად:
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი) - 318
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) - 116
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა - 56
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა - 12
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა - 256
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა - 15
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა - 5
სამართლის საბაკალავრო პროგრამა - 174
სამართლის სამაგისტრო პროგრამა - 32
სამართლის სადოქტორო პროგრამა - 26
ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა - 43
ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა - 238
ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო პროგრამა - 19
მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა - 82
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 248
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 96
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა - 61
მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში საბაკალავრო პროგრამა -47
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 1179

2026-2027 წლებში - 3150-მდე, პროგრამების მიხედვით გადანაწილება იქნება შემდეგნაირად:
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი) - 331
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) - 124
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა - 66
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა - 14
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა - 264
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა - 17
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა - 4
სამართლის საბაკალავრო პროგრამა - 184
სამართლის სამაგისტრო პროგრამა - 34
სამართლის სადოქტორო პროგრამა - 29
ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა - 45
ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა - 244
ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო პროგრამა - 20
მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა - 86
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 268
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 102
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა - 62
მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში საბაკალავრო პროგრამა - 61
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 1195

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შემჩნევა სტუდენტების რაოდენობის ზრდა. კერძოდ 2018-2019 (1262), 2019-2020 (1434), 2020-2021 (1519), 2021-2022

(1675), 2022-2023 (2072), ასევე ზრდადი ტენდენციით სტუდენტთა ხასიათდება ჩარიცხვები 2018-2019 (627), 2019-2020 (474), 2020-2021 (502), 2021-2022 (570), 2022-2023 (923).

ამგვარად, აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უსდ მიერ განხორციელებული პროგნოზი სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და რესურსული პოტენციალის შესახებ, რეალურია.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

უსდ-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი პირველ ვიცეპრეზიდენტთან შეთანხმებით. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობა რეგულირდება დებულებით. დებულებაში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სპეციალისტების ფუნქციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ვლინდება, რომ სამსახური სრულ კოორდინაციაში იმყოფება უსდ-ს ყველა ერთეულთან.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. სამსახურს გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება ოთხი ძირითადი მიმართულებით: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა; კვლევის და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველყოფა; სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება; სტუდენტთა მოზიდვა, პროგრესი, ჩართულობა და წარმომადგენლობა; ამ პოლიტიკის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულად ითვალისწინებს ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის ციკლურ პარადიგმას „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე - იმოქმედე“ (PDCA). პოლიტიკა განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების პროცედურას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს მოცემული მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. ანალიზის შედეგებს იყენებს შემდგომი რეაგირებისა და გაუმჯობესებისათვის. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან კომუნიკაცია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმის კუთხით მეტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს კვლევის და კვლების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფას, კერძოდ სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის შესაბამისი პირობების შექმნა და განვითარება.

ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

უსდ-ში მოქმედებს ეთიკისა და ქცევის კოდექსი. აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს უსდ-ში დასაქმებული პერსონალის ეთიკისა და ქცევის სქემას, როგორც უსდ-ს შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. კოდექსი შედგება 6 ნაწილისაგან. პირველი ნაწილი განსაზღვრავს კოდექსის მოქმედების სფეროს, მეორე ნაწილი - ეთიკისა და ქცევის წესების უნივერსალური პრინციპების იმპლემენტაციას და შინაარსს, მესამე ნაწილი - უნივერსიტეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) ვალდებულებებს ეთიკის და ქცევის კოდექსის იმპლემენტაციაში, მეექვსე ნაწილი განსაზღვრავს სპეციალური ქცევის წესებს, მეხუთე ნაწილი პასუხიმგებლობას ეთიკისა და ქცევის კოდექსის დაღვევისათვის, მეექვსე ნაწილი განსაზღვრავს კოდექსის მოქმედებას და გაგებას. აღნიშნული კოდექსის თანახმად ეთიკის და ქცევის კოდექსი ეფუძნება ოთხ პრინციპს:“ სამართლიანობა და თანასწორობა, ადამიანის უფლებათა ტანასწორობა, პირადი და პროფესიული პასუხიმგებლობა, პატიოსნება.

უსდ-ში შემუშავებულია „აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკისა და მექანიზმის დოკუმენტი“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პლაგიატის სახეებსა და ფორმებს. პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმის სახით გამოიყენება strikeplagiarism.com პროგრამული უზრუნველყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა; (ვებგვერდი)
- მედიცინის სკოლის დებულება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა 360 გრადუსიანი შეფასების შედეგები;
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების წესი;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები;
- 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები;
- უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი; (ვებ გვერდი)
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; (ვებგვერდი)
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა და მექანიზმები; (ვებგვერდი)
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; (ვებგვერდი)
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან)

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ შემუშავებულ სამიზნე ნიშნულებს პერსონალის მართვის ნაწილში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მატების მეთოდოლოგიის შემუშავებისას მედიცინის მიმართულებით და მოიყვანოს შესაბამისობაში.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- *უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმების ეფექტურად გამოყენების მიზნით.*

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწერთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტური კონტინენტის გაზრდის პოტენციალის განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების მიმდინარე მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი და შეფასება. ამ შეფასებამ მოიცვა ისეთი ფაქტორების გამოკვლევა, როგორცაა ხელმისაწვდომი რესურსები, აკადემიური კადრის რაოდენობა და შესაძლებლობები, ინფრასტრუქტურა და სხვა.

უნივერსიტეტში ამჟამად ხორციელდება 19 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მიზნით მოქმედებს პროგრამის განვითარების კომისია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ჩართულობით.

პროგრამის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევს კომისიის/პროგრამის ხელმძღვანელი. იგი უზრუნველყოფს კომისიის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში ისე, რომ შეიქმნას ხარისხიანი, შრომის ბაზრის ინტერესებზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამა. შემუშავებული/მოდულირებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა სკოლის საბჭოს.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, როგორც წესი აკადემიური სასწავლო წლის ბოლოს და სამ წელიწადში ერთხელ. საგანმანათლებლო პროგრამის და მისი განხორციელების ყოველწლიურ შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) ჩართულობითა და მათი შეფასებების გათვალისწინებით, და შესაბამის დასკვნასა და რეკომენდაციებს წარუდგენს პროგრამის განვითარების კომისიას და სკოლის საბჭოს. პროგრამის განვითარების კომისია ვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სკოლის საბჭოს წარუდგინოს ანგარიში რეკომენდაციების განხორციელებასთან დაკავშირებით, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას ახორციელებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას 3 წელიწადში ერთხელ ახორციელებს უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ შექმნილი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მარკეტინგის და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელი, სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი, პროგრამის აკადემიური მენეჯერი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მექანიზმებს და მონაწილეობენ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებითა და უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს (ECTS);
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს (ECTS);
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს (ECTS);
- სამედიცინო განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი (ECTS) საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

ექსპერტთა ჯგუფი საგანმანათლებლო პროგრამებს გაეცნო უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. ისინი შემუშავებულია კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. ასევე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სფეროში დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია და ასახავს ინფორმაციას პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.

პროგრამებში გათვალისწინებულია სწავლება-სწავლის მეთოდები (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ.), რომლებმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა და მათი შესაბამისი აქტივობები (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).

საყურადღებოა, რომ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული და დაცულია დარგის სპეციფიკა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები.

უნივერსიტეტში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით „უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ“, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული წესით.

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტში კრედიტის მინიჭება შესაძლებელია სილაბუსით და საუნივერსიტეტო რეგულაციებით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით: ხუთი სახის დადებითი შეფასება: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი) გამოყენებით. დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასების კომპონენტებს შორის. შუალედურ შეფასებაში აუცილებელი კომპონენტია ერთი შუალედური გამოცდა, რომელიც ფასდება 20 ქულით. დანარჩენი 40 ქულა ნაწილდება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვადასხვა კომპონენტებს შორის, რომელშიც შეიძლება იყოს მეორე შუალედური გამოცდაც, და დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში. სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით სკოლის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ პროგრამის დამტკიცების დროს შეიძლება განსაზღვროს ზემოაღნიშნულისგან განსხვავებული შუალედური შეფასების სისტემა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაში დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას. დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16.

დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ ნაშრომის შეფასება ხორციელდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით: ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მხედველობაში მიიღება მათი შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდოლოგია. პირდაპირი შეფასების მეთოდებია - წერიტი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, თეზისი, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია - დამსაქმებლების/კურსდამთავრებულების/სტუდენტების გამოკითხვა, შედარება მსგავს ინსტიტუციებთან, კურიკულუმის ანალიზი და სხვა.

ყოველი სემესტრის ბოლოს ჩატარებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით ხორციელდება სტუდენტთა მხრიდან სწავლის შედეგის მიღწევის დადგენა.

აკადემიური მოსწრების ანალიზით დგინდება რამდენად სწორედ არის მინიჭებული სასწავლო კომპონენტისთვის კრედიტი, შერჩეულია თემატიკა, ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და ა. შ. აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებული სტუდენტთა რანჟირების სკალას, რომელიც ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას - საუკეთესო სტუდენტების (ყველაზე მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10% ;

10%	A - ფრიადი
25%	B - ძალიან კარგი
30%	C - კარგი
25%	D - დამაკმაყოფილებელი
10%	E - საკმარისი

რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი ნიშნები კი – სტუდენტთა შესაბამისად 10–10%-ს. სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მიღწევის ნორმალური მაჩვენებელი, ამიტომ სწავლის შედეგის მიღწევის აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე გადაიხედება საგანმანათლებლო პროგრამის/სილაბუსის სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტის მოცულობა;
- საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება;
- სწავლა/სწავლების მეთოდები;
- სასწავლო კომპონენტის თემატიკა;
- სავალდებულო ლიტერატურის სირთულე და მოცულობა;
- შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;
- ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა.

უნივერსიტეტის ქმნის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პირობებს, რომლის ფარგლებშიც ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. ამ მიზნით უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას და პროცედურას, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შემადგენელი ნაწილია.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უწევს სასწავლო კურსის/კურსების განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართვას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

სწავლის შედეგის შეფასება სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ხდება იგივე მექანიზმებითა და კრიტერიუმებით როგორც დადგენილია უნივერსიტეტის რეგულაციებით, განსხვავება არის მხოლოდ პროცედურის ხანგრძლივობასა და ინდივიდუალური კონსულტაციების სიხშირეში, რადგან სტუდენტს რომელსაც სხვა სტუდენტებთან შედარებით უჭირს სწავლის შედეგზე გასვლა, ენიშნება უფრო მეტი ინდივიდუალური კონსულტაციები და შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან, ასევე მას ეძლევა უფრო მეტი დრო სასწავლო კურსის ასათვისებლად და გამოცდის ჩასაბარებლად ან სხვა

შუალედური შეფასების მისაღებად. სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში გასაჩივრების მექანიზმი არის უნიფიცირებული და კონკრეტული, რომლიც გამოყენებოდა სასწავლო პროცესის ნებისმიერი შემთხვევისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამები; (ვებ გვერდი) • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; (ვებგვერდი) • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; (ვებგვერდი) • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; (ვებგვერდი) • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი; • ინტერვიუები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან)
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
<p>შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა უნივერსიტეტში შესაბამისი ფართობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი და პროგრამების სწავლების შედეგების მიღწევადობა. დაწესებულების მიერ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას ასევე შემუშავებულია დამატებითი ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაზრის კვლევის მონაცემები; • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; • სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა; • სტუდენტთა გადინების (მობილობის ჩათვლით) დინამიკა; • სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა;

დოკუმენტის მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული ინდიკატორების შეფასება პროგრამების სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში. დოკუმენტის დამტკიცება განხორციელდა აკადემიურ საბჭოზე პრეზიდენტის ბრძანებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის ფორმის მიხედვით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ მოთხოვნილი კვოტები პროგრამების მიხედვით მომავალი 4 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

- ბიზნესის ადმინისტრირება ქართულენოვანი (ბაკალავრიატი) -338 სტუდენტი;
- ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისურენოვანი (ბაკალავრიატი) -120 სტუდენტი;
- ბიზნესის ადმინისტრირება ქართულენოვანი (მაგისტრატურა)- 65 სტუდენტი;
- ბიზნესის ადმინისტრირება ქართულენოვანი (დოქტორანტურა)- 14 სტუდენტი;
- სამართალი ქართულენოვანი (ბაკალავრიატი) – 187 სტუდენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია ქართულენოვანი (ბაკალავრიატი)- 269 სტუდენტი;
- სამართალი ქართულენოვანი (მაგისტრატურა)- 44 სტუდენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია ქართულენოვანი (მაგისტრატურა)- 26 სტუდენტი;
- ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი) ქართულენოვანი (მაგისტრატურა)- 67 სტუდენტი;
- სამართალი ქართულენოვანი (დოქტორანტურა) – 24 სტუდენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობები-ინგლისურენოვანი დოქტორანტურა 5 სტუდენტი;
- ინფორმატიკა ქართულენოვანი (ბაკალავრიატი)- 242 სტუდენტი;
- მშენებლობა ქართულენოვანი (ბაკალავრიატი)- 88 სტუდენტი.
- ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა ქართულენოვანი (მაგისტრატურა)- 28 სტუდენტი;
- ინგლისური ფილოლოგია ქართულენოვანი (ბაკალავრიატი)-269 სტუდენტი;
- ქართული ფილოლოგია ქართულენოვანი (ბაკალავრიატი)- 102 სტუდენტი;
- ისტორია ქართულენოვანი (ბაკალავრიატი)- 65 სტუდენტი;
- მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში- ქართულენოვანი (ბაკალავრიატი)- 72 სტუდენტი;
- დიპლომირებული მედიკოსი ინგლისურენოვანი (ერთსაფეხურიანი)-764 სტუდენტი.

აღნიშნულ რაოდენობებში ასევე გათვალისწინებულია მობილობის ფარგლებში მიღებული სტუდენტების რაოდენობა. დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მატების მაჩვენებელი წლიურად შეადგენს 700 სტუდენტს, წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება განაწილებულია შემდეგნაირად:

- 2023-2024 - 20 სტუდენტი;
- 2024-2025-273 სტუდენტი;
- 2025-2026- 235 სტუდენტი;
- 2026-2027- 236 სტუდენტი;

აღნიშნული ინფორმაციის ცალკე გამოტანის მიზანია დარგის სპეციფიკის და მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის გათვალისწინება.

უნივერსიტეტის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით მიმდინარე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა არის შემდეგი:

- ბიზნესის სკოლა-362
- სამართალი და დიპლომატია-380
- IT &Engineering- 254
- ჰუმანიტარული მეცნიერებები- 300
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა- 1104.

ჯამში 2400.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 42-ს, აკადემიური პერსონალი - 52, აქედან აფილირებული - 45, მოწვეული პერსონალი - 202. ინტერვიუს დროს ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელმა გვითხრა რომ მედიცინის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 60-მდე აკადემიური პერსონალი, სკოლის ვიცე დეკანმა- 70 მდე. დოკუმენტში იკითხება რომ დაწესებულებაში დასაქმებულია 175 აკადემიური პერსონალი, მოწვეული 308, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი 157.

რაც შეეხება სხვა სკოლებს, ბიზნესის სკოლას 2023 წლის მონაცემებით ჩართულია 34 პერსონალი, იფორმატიკის და ინჟინერიის სკოლაში 16, სამართლის სკოლაში 31, ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლაში 30, ხოლო მედიცინა 50.

შპს ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის შეფასების წესი. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ძირითადი მოვალეობები მოიცავს: საგანმანათლებლო საქმიანობას და მის ორგანიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, კვლევასა და ინოვაციურ საქმიანობას, უნივერსიტეტის მართვასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაში მონაწილეობას, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობას, სოციალურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა გაგვიზიარეს ინფორმაცია პერსონალის წახალისების მექანიზმის შესახებ, რაც მოიცავდა პერსონალის შეფასების შედეგებს ფულადი ჯილდოს ან სიგელის სახით, ასევე დაწინაურების. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით 2022 წელს პრემიის სახით უნივერსიტეტს გაცემული აქვს 782.279 ლარი, თუმცა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას ეს არ დადასტურებულა, კონკრეტულ პირებთან საუბრისას დადასტურდა მხოლოდ სიგელის გადაცემა. პერსონალის სამეცნიერო კვლევითი აქტივობების ხელშეწყობის მიზნით ინტერვიუს დროს გამოიკვეთა შემდეგი, რომ ფაკულტეტების მიხედვით, არ არის კონკრეტულად გამოყოფილი ბიუჯეტი, რაც მეტად ნათელს გახდიდა მუშაობის პროცესს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია 1 600 000 ლარი სამეცნიერო კვლევებისათვის, თუმცა კონკრეტული მიმართულებები ინტერვიუებისას არ გამოკვეთილა. პროცესი ხორციელდება შემდეგნაირად, პერსონალი მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს დაფინანსების მიზნით, რასაც განიხილავს აკადემიურ და სამეცნიერო საბჭოს და შემდეგ აცნობებს შედეგს. აკადემიური და სამეცნიერო საბჭოში სამი პერსონალია მედიცინის მიმართულებით.

გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის დატვირთვის სქემა, იმ აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელიც არის ჩართული მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაში, სასწავლო პროცესში 2023 წლის გაზაფხულის მონაცემებით არის მხოლოდ 17. 17 დან სამეცნიერო აქტივობა უფიქსირდება 10 პერსონალს, ხოლო სხვა უნივერსიტეტში აქტივობა უფიქსირდება 8 პერსონალს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი;
- აკადემიური თამადაბობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულება; (ფვებგვერდი)
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა;
- ინტერვიუები (აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან)

ექსპერტა ჯგუფის რეკომენდაციები

-

ექსპერტა ჯგუფის რჩევები

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში გაწერილია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები. მარეგულირებელი ინსტრუქციის მე-4 და მე-5 თავებში განსაზღვრულია სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. წესები გამჭვირვალეა, სამართლიანია და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ყველა მათთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე, საჭიროებისას მათ შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურას და სკოლებს, სადაც მიიღებენ სასურველ ინფორმაციას.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულებაში გაწერილია სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კონტრაქტები იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მაგრამ აღსანიშნავია ბიზნესის პროგრამის კონტრაქტში (მუხლი 3.3.) არსებული ჩანაწერი: ხელშეკრულების დადების შემდეგ სწავლის საფასური შესაძლოა შეიცვალოს, რაც დამოკიდებული იქნება საქართველოში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებსა და და ლარის მსყიდველუნარიანობაზე. ინტერვიუზე გასაუბრებისას უნივერსიტეტის მენეჯმენტის მხრიდან განმარტებულ იქნა აღნიშნული საკითხი და აღინიშნა, რომ ჩანაწერი ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს და ამოსაღებია, ასევე წარმოდგენილ იქნა სწავლის საფასურის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც არ მომხდარა სტუდენტთა საფასურის მატება.

უნივერსიტეტი იხილავს სტუდენტების საჩივრებს აკადემიური და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა გასაუბრებისას გაიხსენა შემთხვევა, რომელიც ეთიკის კომისიამ განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. უნივერსიტეტში მოქმედებს ომბუდსმენის ოფისი რომელიც დაფუძნდა სპეციალური ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტური ომბუდსმენის წესდების მიხედვით სტუდენტურ ომბუდსმენს არ უნდა ეკავოს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა, აგრეთვე არ უნდა ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას. ერთი და იგივე პირი სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ ორი ვადით; სტუდენტურ ომბუდსმენს 2 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი, დღეის მდგომარეობით ომბუდსმენს უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა (კვლევის განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი), და მას აქტიური ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან. რადგან სტუდენტებმა შესაძლოა მიმართონ ომბუდსმენს როგორც ადმინისტრაციულ, ისე აკადემიურ პრობლემებზე, შესაძლოა

წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, ამრიგად სასურველია იგი არჩეულ იქნას სტუდენტთა ჩართულობით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა გასაუბრებისას განაცხადეს, რომ ისინი არ იცნობენ ომბუდსმენს რადგან არ დაჭირვებიანთ მისი დახმარება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში საჭირო ინფორმაციას მოიძიებენ.

გაუს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შექმნან და იყენენ სხვადასხვა სტუდენტური კავშირების წევრი. სტუდენტები გაერთიანებულები არიან სხვადასხვა კლუბებში, მაგალითად: Google –ის კლუბი, PR კლუბი. უნივერსიტეტში არ არის სტუდენტური თვითმართველობის ორგანო, მაგრამ სტუდენტური გაერთიანებებიდან წარდგენილი სტუდენტები მონაწილეობენ სკოლების მართველობით საბჭოების საქმიანობაში. გასაუბრებისას დასახელდა მათი ინიციატივით კონკრეტული სასწავლო კურსების დამატება პროგრამებში, ასევე დაემატა უცხო ენები: ებრაული, ჩინური და რუსული.

გაუ ზრუნავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, ისინი იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და სტუდენტური სერვისების შესახებ. სერვისების მიწოდებასა და განვითარებაზე ზრუნავენ უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის უფლებამოსილი პირები, აკადემიური მენეჯერები, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. მოქმედებს მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახურის სტუდენტური სერვისების განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას და ექსტრა კურიკულარული ღონისძიებების დაგეგმვას.

უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერის ცენტრი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ეფექტური კომუნიკაცია პოტენციურ დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის, ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სასურველი სამუშაო ადგილების პოვნაში და უზრუნველყოს პარტნიორი ორგანიზაციები მაღალკვალიფიციური კადრებით. გაუ გამოირჩევა კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენებელით, ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ასაქმებს საკუთარ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ადმინისტრაციულ და აკადემიური თანამდებობებზე. უნივერსიტეტში რეგულარულად ეწყობა დასაქმების ფორუმები, სტუდენტებისათვის იმართება კარიერის დღეები და კონსულტაციები დამსაქმებელი კომპანიების მიერ. ვიზიტის დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი საქმდებიან მესამე კურსიდან, ასევე სტაჟირების პროგრამები რომლის შემდგომაც სტუდენტები საქმდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ინტერვიუებისას აღინიშნა დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა, დასახელდა პრაქტიკის ობიექტები, მათ შორის გამოირჩა 50-ამდე პარტნიორი სამედიცინო კლინიკა. დამსაქმებლებმა გასაუბრებისას გამოარჩიეს გაუს სტუდენტები და გამოთქვეს კმაყოფილება მათი მომზადების დონით. უნივერსიტეტში ვიზიტისას ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ სამედიცინო პროგრამის სტუდენტების პრაქტიკის ობიექტები და სასწავლო ლაბორატორიები. აღსანიშნავია, რომ დათვალიერების დროს სამედიცინო სტუდენტების საგამოცდო ცენტრში არ იყო შესაბამისი ვიდეო/აუდიო აპარატურა, რაც შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, შეუძლებელს გახდის შეფასების ვალიდობის დადგენას, ამრიგად გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაცია მატერილური რესურსების ნაწილში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების საერთაშორისო მობილობასა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებს, სტუდენტთა სათანადო ინფორმირებისათვის იმართება საკონსულტაციო დღეები გაცვლითი პროგრამების გასაცნობად. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებისათვის სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმები გამჭირვალე და სამართლიანია. გაუ-ში მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომლის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა: ERASMUS+ პროექტის ფარგლებში გაგზავნილ იქნა, - 2021 წელს - 12 სტუდენტი; 2022 წელს - 20 სტუდენტი; 2023 მიმდინარე წელს - 23 სტუდენტი; მიღებულ იქნა: 2021 წელს - 4 საერთაშორისო სტუდენტი; 2022 წელს - 5 საერთაშორისო სტუდენტი; 2023 მიმდინარე წელს - 5 საერთაშორისო სტუდენტი; ასევე, გამოირჩა

პრაქტიკული საერთაშორისო სასწავლო ვიზიტები, რომლის ფარგლებშიც 18 სტუდენტი სტუმრობდა ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციებს, ხოლო 16 სტუდენტი ამერიკაში გაემგზავრა.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური, რომლის მიზანი ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს და უნივერსიტეტის თანამშრომლებს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის წარმოებისათვის შესაბამისი რესურსების მოპოვებაში და იზრუნოს უნივერსიტეტში კვლევითი, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე. ვიზიტზე გასაუბრებისას აღინიშნა, რომ რეგულარულად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები და სიმპოზიუმები. გამოირჩა კვლევები რომლებშიც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები, მაგალითად: მარდალეიშვილის კლინიკაში ონკო მარკერების კვლევითი პროექტი, ბიზნესისა და უნივერსიტეტის კვლევითი თანამშრომლობა თბს ბანკთან, ევროპული სოციალური კვლევების პლატფორმის პროგრამები. ასევე, აღინიშნა დოქტორანტი სტუდენტების სამეცნიერო მხარდაჭერისათვის გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ, გაუს სამეცნიერო ჟურნალებში საკონფერენციო მასალების გამოქვეყნება, უცხოელი მეცნიერ ხელმძღვანელების მოწვევა სტუდენტებისათვის და სხვადასხვა სამეცნიერო სემინარების გამართვა.

სტუდენტები იყენებენ კორპორატიულ მეილს, მათთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული ბიბლიოთეკა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები. სტუდენტები და კურსდამთავრებულები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებში და ფოკუს ჯგუფებში, სადაც დაფიქსირებული მათ აზრს ითვალისწინებს უნივერსიტეტი. გაუმი 2021 წლიდან მოქმედებს სოციალურად დაუცველი სტუდენტების ფინანსური შეღავათების მექანიზმები, ასევე უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ფინანსური ფასდაკლებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- ფორმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულება;
- სოციალურად დაუცველი სტუდენტების ფინანსური შეღავათების მექანიზმები;
- ომბუდსმენის წესდება;
- კარიერული სერვისი - მარკეტინგის და კომუნიკაციის სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა ხელშეკრულების ნიმუშები;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა - 2022;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://www.gau.edu.ge/ka>

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

სასურველია, რომ ომბუდსმენი არ იკავებდეს რაიმე თანამდებობას უნივერსიტეტში, არამედ არჩეულ იქნას სტუდენტთა ჩართულობით.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა

6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის მისიაა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პრაქტიკულ მოდელზე ბაზირებული განათლების მიცემა, კვლევის წარმოება და ინოვაციური საქმიანობა. თანაბარი შესაძლებლობების მიცემის საფუძველზე ცოდნის უნარებისა და საყოველთაო ღირებულებების განმტკიცებითა და სოციალური პასუხისმგებლობის აღიარებით, საზოგადოების განვითარებისა და ქვეყნის გლობალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ცოდნის შექმნისა, დაგროვებისა და გაზიარების გზით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამი კვლევითი ცენტრი, კერძოდ: კონსტიტუციონალიზმი და დემოკრატიის კვლევის ცენტრი, ებრაული კვლევის ცენტრი და ბიზნეს კვლევების სამეცნიერო ცენტრი. ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით სამეცნიერო კვლევითი აქტივობების და ხელშეწყობი ღონისძიებების მართვა ორგანიზდება სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით. დაწესებულების მიერ მოწოდებულია კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახურის დებულება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს და უნივერსიტეტის

თანამშრომლებს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის წარმოებისათვის შესაბამისი რესურსების მოპოვებაში და იზრუნოს უნივერსიტეტში კვლევითი, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე. სამსახურის ფუნქციებია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სამეცნიერო კვლევითი ერთეულების ხელშეწყობა კვლევითი საქმიანობის აქტიურად განხორციელებისა და სხვადასხვა წყაროებიდან რესურსებისა და დაფინანსების მოპოვებაში, უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის დანერგვასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ეროვნულ სამეცნიერო ფონდებთან ერთობა, რეგიონალურ და საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის მონაწილეობის ხელშეწყობა, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა, მეცნიერების პროცესის კოორდინაცია და ხელშეწყობა, სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირება, უნივერსიტეტში კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმისა და უნივერსიტეტის მეცნიერებისა და კვლევის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ინფორმაციული უზრუნველყოფა. სამსახური შედგება ხელმძღვანელისგან და მენეჯერისგან.

ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი ხელს უწყობს სწავლების და კვლევების განვითარებას, რისი მაგალითიცაა უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტები სხვადასხვა მიმართულებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კვლევის სტრატეგია, რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის ახალი გენერირებული ცოდნის წვილის შეტანას საზოგადოების გამოწვევებს გადაჭრაში. უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ინსტიტუტი გახდა ESS (European Social Survey) ექსკლუზიური

პარტნიორი და განმახორციელებელი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ინსტიტუციის რეპუტაციას. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუებისას.

2021 წელს უნივერსიტეტისა და ლევან ალექსიძის ფონდის ერთობლივი პროექტის საფუძველზე მოპოვებულ იქნა შოთა რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტი ფუნდამენტური კვლევებისთვის თემაზე „ადამიანთა დისკრიმინაციისაგან დაცვა: საქართველოს თანამედროვე გამოწვევების კრიტიკული ანალიზი საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში“.

2022 წელს უნივერსიტეტმა მიიღო შოთა რუსთაველის გრანტი ფუნდამენტურ კვლევებში და ახორციელებს კვლევას „საზოგადოება გარდაქმნის ეპოქაში: თანამედროვე საქართველოს სოციალური სტრუქტურა“, აღნიშნული ასევე დადასტურდა მიზნობრივ სესიებზე. სამეცნიერო პროექტს განახორციელებს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის კვლევითი ინსტიტუტი.

2023 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მოიპოვა კონკრეტული. ინოვაციის ფონდის გრანტი ოსკის შეფასების მეთოდების დანერგვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში, რომლის ფარგლებშიც 2024 წლის ნოემბრამდე უნდა განხორციელდეს პლატფორმის გამოყალიბება პარტნიორი უნივერსიტეტების პროგრამის განმახორციელებელი კადროს გადამზადება.

დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციიდან ირკვევა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართულობა: 2022 წელს გაუ-ს ორი თანამშრომლის მივლინება ქალაქ ვენაში “NAEMT”-ის ევროპის განათლების კომიტეტის ყოველწლიურ შეხვედრაზე დასასწრებად, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიუებისას. ყოველივე განხორციელდა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დაფინანსებით. ასევე 2022 წელს განხორციელდა უნივერსიტეტის ხელშეწყობით მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა ინდოეთში პროგრამ ხელმძღვანელის მიერ. უნივერსიტეტის ხელშეწყობით განხორციელდა მედიცინის პროგრამაში ჩართული სამი პერსონალის AMEE-ზე დასწრება 2022, 2023 წლებში.

ერასმუსით განხორციელდა პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართულობა, ესპანეთის უნივერსიტეტში University of jaen.

დაწესებულების მიერ სემესტრში ერთხელ ცხადდება კონკურსი სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

უნივერსიტეტში განხორციელებულ პროექტებში ხდება როგორც სადოქტორო ისე სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ჩართვა, საგნის კვლევითი პროექტის სახით. ინტერვიუებისას დადგინდა რომ ერთ აკადემიურ პერსონალს ჰყავს მაქსიმუმ ორი დოქტორანტი.

საერთაშორისო სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები გაცვლით პროგრამებში, კერძოდ მედიცინის სტუდენტი იმყოფება ალტინზას უნივერსიტეტში 2023-2024 შემოდგომის სემესტრის განმავლობაში.

უნივერსიტეტის წარმოადგენა ბიუჯეტის პრიორიტეტები რაც მიზნად ისახავს შესაბამისი გარემოს შექმნას ხარისხიანი განათლების მისაღებად, კვლევის და განვითარების ღონისძიებების გაუმჯობესებას და ტანხის გამოყოფას სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. ინტერვიუებისას დადგინდა რომ კვლევებზე გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენ 1600000 ლარს. აკადემიურ პერსონალს სამწუხაროდ არ აქვს კონკრეტული ინფორმაცია ფაკულტეტების მიხედვით რა თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნას კვლევებზე მათი ხელშეწყობის მიზნით. ინდივიდუალური პროექტების ინიცირება ხდება პერსონალის მიერ. ამიტომ ვფიქრობთ, ფაკულტეტის ბიუჯეტში უნდა აისახოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა, რაც თავისთავად უზრუნველყოფს აკადემიური კადრის ინფორმირებასაც.

დაწესებულებას ასევე აქვს უფასო ხელმისაწვდომობა ელექტორნულ სამეცნიერო ჟურნალებზე მხოლოდ გაუს ტერიტორიიდან კერძოდ: Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly, New England Journal of Medicine და სხვ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფორმის მიხედვით, რაც მოიაზრებს შევსებულ დოკუმენტს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მატების შესახებ დოქტორანტების რაოდენობა სკოლების მიხედვით 2027 წლის ჩათვლით შემდეგნაირია:

- ბიზნესის ადმინისტრირება ქართულენოვანი დოქტორანტურა-14 სტუდენტი;
- სამართალი ქართულენოვანი (დოქტორანტურა)- 24 სტუდენტი;

<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ურთიერთობები ინგლისურენოვანი (დოქტორანტურა)- 5 სტუდენტი;
მტკიცებულებები/ინდიკატორები: <ul style="list-style-type: none"> შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახურის დებულება; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია; კეთილსინდისიერების პოლიტიკა; განხორციელებული და მიმდინარე პროექტები; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; ინტერვიუს შედეგები; დაწესებულების ფორმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები <p>რეკომენდებულია მოხდეს ბიუჯეტის მიზნობრივი გაწერა ფაკულტეტების მიხედვით, რომელშიც აუცილებლად უნდა აისახოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა.</p>
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები <ul style="list-style-type: none"> სასურველია პერსონალთან მოხდეს მიზნობრივი შეხვედრები წახალისების მექანიზმის და მათი სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების ინფორმირებულობისათვის.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

- 7.1 მატერიალური რესურსი
- 7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
- 7.3 საინფორმაციო რესურსი
- 7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს
 ნაწილობრივ აკმაყოფილებს
 არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
<p>ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე მოხდა მატერიალური რესურსების დათვალიერება. კერძოდ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ალექსიძის ქუჩაზე მდებარე (თბილისი საქართველო) შენობა ნაგებობის დათვალიერება. გასაუბრებიდან დადგინდა, ალექსიძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება მოიცავს 3622,03 კვმ -ის სასწავლო ფართს და 235,77 კვმ -ის ფართის ბიბლიოთეკას და 245,59 კვმ ფართის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიებს.</p>

დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები. თეორიული სწავლების აუდიტორიები, სათავსოები, ჯგუფური მუშაობისათვის სივრცე, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, სასწავლო კაბინეტები, დარგისათვის დამახასიათებელი ლაბორატორიები.

უსდ-ში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ სასწავლო ოთახებს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება. შენობა უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის სველი წერტილებით, რომელიც მუდმივად მარაგდება წყლით. შენობები აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ინვენტარით, მოწყობილია საევაკუაციო გასასვლელი და საევაკუაციო გეგმებით. უსდ-ს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ჰყავს სამედიცინო პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციის და აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. უსდ შენობის მთელ პარამეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ჰყავს გამოყოფილი დაცვის თანამშრომელი. წესრიგის დაცვის მიზნით, დაწესებულებას შენობა ნაგებობების მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეო ჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები.

უსდ-ს დამატებით იჯარით აქვს აღებული ფართი. 2023 წლის 12 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე მოიჯარეს დროებით მდლობელობასა და სარგებლობაში გადასცემს საიჯარო ფართს, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბაგრატიონის 6 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.10.14.029.001) საიჯარო ფართი 1347,63 კვმ ოდენობით, სადაც მე-5 სართული - 549,18 კვ. მე-6 სართული 550,86 კვმ და მე-7 სართული 209,7 კვმ. ასევე 302 ოტახი 20,79 კვმ და 303 ოთახი 17,1 კვმ. მოიჯარის საქმიანობისათვის საჭირო ყველა ინვენტარით მათ შორის: სკამები, მერხები, მულაჟები და ა.შ. ამავე ხელშეკრულების მეორე მუხლის 2.1 პუნქტში ვკითხულობთ „მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან 2028 წლის 07 ივნისის ჩათვლით.

აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერებით და პროექტორებით. უსდ-ში მოქმედებს კომპიუტერული ლაბორატორიები, აღჭურვილი კომპიუტერებით უზრუნველყოფილი ლიცენზირებული საოფისე პროგრამებით. უსდ-ში არის საკონფერენციო დარბაზები. უსდ-ს მიერ წარმოდგენილია შენობის აზომვითი ნახაზი სადაც მოცემულია სასწავლო და დამხმარე ფართი, სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო, კვლევითი ლაბორატორიები.

უსდ-ში მოქმედებს მედიცინის პროგრამები, რომელსაც გააჩნია თავისი სპეციფიკა. ამ სპეციფიკის გათვალისწინებით უსდ-ს უზრუნველყოფილია ქვემოთ მოცემული აღჭურვილობით:

- რეალური ზომის ACLS მულაჟი - 1
- მულაჟი "ჩვილი" - 7
- დეფიბრილატორი -1
- ნებულაიზერი - 4
- სასუნთქი ტომარა ზრდასრულის - 7
- სასუნთქი ტომარა ჩვილის - 7
- ცენტრალური ვენის კათეტერიზაციის მულაჟი - 1
- ბლს ტორსი - 8
- აუსკულტაციის მულაჟი - 7
- გინეკოლოგიური მულაჟი - 3
- სასუნთქი გზების მართვის მულაჟი - მოზრდილი - 3
- სასუნთქი გზების მანეკენი - ბავშვი - 1
- გულმკერდი, პერიკარდიოცენტეზის მულაჟი - 2
- შარდის ბუშტის კათეტერიზაციის მულაჟი - 2
- პერიფერიული ვენის სიმულატორი - 4
- მკერდი ქალის - 3

ნაზოგასტრალური ზონდის მულაჟი - 3
 პალსის მანეკენი - 1
 ლუმბალური პუნქციის მულაჟი - 3
 რეალური ზომის მულაჟი ქალი - 1
 ინტრამასკულარული ინექციის მანეკენი - 1
 ქირურგიული ნაკერის დასადები (ხელი-ფეხი) - 5
 სიმულაციური პაციენტის გრიმის პაკეტი - 3
 ლარინგოსკოპი - 2
 საიმობილიზაციო ფარი - 3
 სასწორი - 1
 ჟანგბადის ბალონი - 1
 პაციენტის საფიქსაციო ღვედი (ობობა) - 1
 ოფთალმოსკოპი - 2
 ოტოსკოპი - 2
 ელექტროკარდიოგრაფი - 1
 შტატივი (ი.ვ. გადასხმის) - 2
 პლევრევაკი - 1
 სპირომეტრიის აპარატი - 1
 AED (ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი) – 4
 ჩონჩხი - 2
 გული - 2
 ტვინი - 2
 თავის ქალა - 3
 მენჯი - 2
 ფარისებრი - 1
 ხელი - 5
 მრის ძვალი - 1
 ტერფი - 1
 ლაბორატორია აღჭურვილია 40 მიკროსკოპით, 10 შტატივით, 34 ქიმიური ჭიქა (250 მლ), 18 სპირტული დასადგამით, 8 ცილნდრით (100მლ), 17 ერლენმეიერის კოლბით (250 მლ), 2 სასტერილიზაციო ჭურჭელი (900 მლ), 26 მწკირი, 21 მინის პეტრის ფინჯანი, 3 პიპეტი, 11 შტატივი სინჯარებისათვის, 9 პინცენტი, 6 ლიტრო გამოხდილი წყალი, 5 ლიტრი სპირტი, 100 დიდი პიპეტების თავები, 50 პატარა პიპეტის თავები, 40 სინათლის მიკროსკოპი.

უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული 46 სამედიცინო დაწესებულებასთან.

როგორც სამედიცინო ინვენტარი, ისე პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები ამ ეტაპზე შეესაბამება საკანონდებლო მოთხოვნებს (მთ შორის მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს), როგორც არსებული ისე სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის პირობებში.

8

კლინიკური უნარების სასწავლო ფართის დათვალიერების შედეგად ვფიქრობთ, ამ სივრცეში გასაუმჯობესებელია ელექტრონული მართვის და საგამოცდო პროცესის მონიტორინგის სისტემა.

უსდ-ს შენობა ნაგებობაში გამიჯნული სანიტარიული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარიულ კვანძებში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. სანიტარიულ კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით;

ბიბლიოთეკა

საბიბლიოთეკო რესურსების საჭიროება განისაზღვრება მოთხოვნით, რომელიც მომდინარეობს ფაკულტეტებიდან და კვლევითი ცენტრებიდან. აუცილებელი საბიბლიოთეკო რესურსებთ უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტიდან გამოყოფილია 50 000 GEL, რაც მთლიანი ხარჯების 0,28%-ია. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას დადგინდა, რომ უსდ-ს ბიბლიოთეკის სამიზნო სისტემა სწრაფი და ეფექტურია. გასაუბრებიდან ვლინდება, რომ მათი მიზანია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების თანამედროვე წიგნადი ფონდით და ელექტრონული ბაზებით უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო დარბაზს, კომპიუტერების ლაბორატორიას და საცავს. 2012 წლიდან უსდ-ში მოქმედებს ინტეგრირებული საბიბლიოტეკო სისტემის კატალოგიზაციის და ცირკულაციის მოდულები. პერიოდულად ტარდება ტრენინგები კატალოგის განახლების თაობაზე, რომელიც ყოველწლიურად ექვემდებარება განახლებას. უსდ სტუდენტებს და პერსონალს აქვს ელბაზების გამოყენების შესაძლებლობა.

უსდ ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათი-პარასკევი 10 სთ-დან 20:30 სთ-მდე, ხოლო შაბთს 10:00 დან 16:00 საათამდე. უსდ ბიბლიოთეკაში აღირიცხება 13620 წიგნი, 185 ელექტრონული რესურსი, 170 პერიოდული გამოცემა, 910 ელექტრონული წიგნი და 100 მდე საკითხავი მასალა.

არსებული მდგომარეობის და გაუმჯობესების მიზნით უსდ-ში მუდმივად ტარდება მონიტორინგი, კვლევა და შეფასება საჭიროების იდენტიფიკაციის გამოვლენისა და მასზე სწრაფი რეაგირების მიზნით.

საინფორმაციო რესურსები:

ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გასაუბრებოდა IT დეპარტამენტის პერსონალს. ისინი აღნიშნავენ, რომ უსდ-სთვის პრიორიტეტულია ძლიერი საინფორმაციო რესურსის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას და დაცვას. უსდ გააჩნია პერსონალური მონაცემების დაცვის და საინფორმაციო რესურსების გამოყენების პოლიტიკა. ამ მხრივ მუდმივად ტარდება ტრენინგი პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

უსდ-ს შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მის ვებ-გვერდზე, რომელიც ფუქციონირებს ქართულ-ინგლისურ ენებზე. გარდა ამისა უსდ იყენებს სხვადასხვა სოციალურ ქსელებს. ვებ გვერდზე ინფორმაცია მუდმივად ექვემდებარება განახლებას. უსდ-შენობაში მოქმედებს უსადენო და სადენიანი კომპიუტერული ქსელები. უსდ იყენებს სწავლების პროცესების მართვის ელექტრონულ სისტემას, რომელიც ემსახურება უსდ-ში საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან წარმართვას. აღნიშნული სისტემა მუდმივად ექვემდებარება გაუმჯობესებას.

ფინანსური რესურსები

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყო 2022/23 წლის ბიუჯეტი. აღნიშნული ბიუჯეტის თანახმად უსდ-ში დაფინანსების შემდეგი წყაროები არსებობს: სწავლის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, რაც მთლიანი შემოსავლის 95% შეადგენს, შემდეგ მოდის უწყვეტი განათლებიდან მიღებული შემოსავალი, რაც მთლიანი შემოსავლის 2,74%. შემოსავლები საგრანატო პროექტებიდან შეადგენს მთლიანი შემოსავლის 0,27%. 2022/23 წლის ბიუჯეტის მიხედვით უსდ მთლიანი შემოსავალი იყო 18 350 000 ლარი, ხოლო ხარჯი 18 145 000 ლარი. ხარჯები მოიცავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას (44,4%), კომუნალური ხარჯებს (1,71%), საკანცელარიო ინენტარს (0,3%), შენობის იჯარას, შენახვას და ლაბორატორიებს (8,82%), მატერიალური რესურსების შევსებას (1,38%), ტექნიკის ხარჯი/ელექტრონული სისტემების განვითარების ხარჯს (1,93%), ბიბლიოთეკის წიგნების ხარჯს (0,28%), საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსების ხარჯს (0,17%), კვლევის დაფინანსებას (7,44%), კონფერენციებს, პუბლიკაციებს და სტატიებს (0,28%), კვლევის განვითარების ხელშეწყობას (1,38%), სტუდენტური პროექტების დაფინანსებას (0,28%), საერთაშორისო მივლინების ხარჯს (0,99%), ავტორიზაცია/აკრედიტაციის ხარჯს (0,17%), მარკეტინგისა

<p>და რეკლამის ხარჯს (3,03%), უცხოელების მოზიდვის ხელშეწყობის ხარჯს (14,88%), სოციალური პროექტების ხარჯს და სტუდენტების დაფინანსებას (2,2%), უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (1,38%).</p> <p>უსდ-ს გააჩნია საფინანსო პოლიტიკა. პოლიტიკის ძირითადი მიზანია უსდ-ს სტრატეგიული გეგმასთან კავშირი. უსდ ბიუჯეტის ფორმირების პრიორიტეტებია: შექმნას შესაბამისი გარემო ხარისხიანი აკადემიური განათლების მისაღებად; განავითაროს კვლევებისა და განვითარების ღონისძიებები და ინოვაციაზე ორიენტირებული სფეროები; გამოყოს თანხა უსდ-ს სუსტი მხარეების გაუმჯობესების მიზნით. უსდ-ს საფინანსო სამსახური უზრუნველყოფს ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობას უსდ-ს ყველა დონეზე. ამ ხმრივ საფინანსო სამსახური წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშებს, აკონტროლებს სტრუქტურულ ერთეულებს დაიცვან ფინანსური დისციპლინა და ხელშეკრულების ვადები, ატარებს ტრენინგებს და იდივიდუალურ კონსულტაციებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • უსდ-ს ბიუჯეტი • უსდ-ს ვებგვერდი • აზომვითი ნახაზი • გასაუბრების შედეგები • დათვალეობის შედეგები • ბიბლიოთეკის დებულება • ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები • კმაყოფილების კვლევის შედეგები
<p>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები</p> <p>უნივერსიტეტის მხრიდან რეკომენდებულია კლინიკური უნარების სასწავლო ფართში ელექტრონული მართვის და საგამოცდო პროცესის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება.</p>
<p>ექსპერტთა ჯგუფის რჩევები</p>

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

- უნივერსიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები;
- 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- კვლევის შედეგების შეფასება - სამეცნიერო საბჭოს ოქმი;
- მედიცინის სკოლის დებულება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა 360 გრადუსიანი შეფასების შედეგები;
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების წესი;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი (დანართებით);
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა;
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- სტუდენტური ომბუდსმენის წესდება;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- მარკეტინგის და კომუნიკაციის სამსახურის დებულება;
- სკოლის დებულებები;
- უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური შეღავათების შესახებ;
- უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია;
- კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახურის დებულება;
- უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- საფინანსო სამსახურის დებულება;
- სტატისტიკური მონაცემები (ექსელის ფაილი);

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სალომე ვორონოვი (თავმჯდომარე)



2. დავით სიხარულიძე (წევრი)



3. ელენე გიგინეიშვილი (წევრი)



4. დავით კაკიაშვილი (წევრი)

